ხალგაზრდა ეროელი

13 აგვისტო შაბათი 1991 №94 (11727)

1921 წლიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსანდრე სააკოვის ფოტო.

ბაღაფსა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**
გაერთიანდეს უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისია და თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის მუდმივი კომისია და შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული მუდმივი კომისია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი

თბილისი. 1991 წლის 9 აგვისტო.

●

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ ლ. ა. ალექსიძის არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**
არჩეულ იქნეს **ლევან ანდრიას ძე ალექსიძე** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი

თბილისი. 1991 წლის 9 აგვისტო.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ცნობა

1991 წლის 10 აგვისტოს 14 საათზე (მოსკოვის დროით) ამერკავკასიის სამხედრო ოლქის ტყვია-წამლის შესანახ ბაზაზე (აზერბაიჯანის რესპუბლიკის სადგური სალოღლი) ცეცხლი წაეკიდა ჩვეულებრივი ტყვია-წამლის ერთ-ერთ საცავს.

ხანძარმა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი გამოიწვია. რამდენიმე კაცი დაშავდა, მსხვერპლი არ არის.

მომხდარის მიზეზების გამოსარკვევად და მატერიალური ზარალის დასადგენად შეიქმნა სსრკავშირის თავდაცვის სამინისტროს და ამერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წარმომადგენელთა კომპეტენტური კომისია.

ამჟამად ხორციელდება ღონისძიებანი აღდგენისა და შემთხვევის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

საქართველოს განათლების სამინისტროში

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის შეცვლილია რესპუბლიკის ყველა ტიპის სასწავლებელში, ნაცვლად ადრე გამოცხადებული 2 სექტემბრისა, დაიწყება 16 სექტემბერს, ორშაბათს.

საქინფორმი.

გუდაუთის ქარბორბალამ გადაუარა

ჯერ კოლოსალური დამანგრეველი ძალის ქარბორბალა, შემდეგ კი ინტენსიური კოკისპირული წვიმები დაატყდა თავს ქალაქ გუდაუთსა და მიმდებარე სოფლებს. კიდევ კარგი, რომ სტიქია, რომელიც ყველაფერს მუსრავდა თავის გზაზე, რაიონს თავს დაატყდა არა ღამით, არამედ შუადღისას, როცა ადამიანებისათვის უფრო იოლი იყო გაეძლოთ მისი შემოტევისათვის, თავი დაეღწიათ უბედურებისათვის. სწორედ ამიტომ სტიქიური უბედურების ამ ვრცელ ზონაში მსხვერპლი არ ყოფილა.

ქარბორბალამ გადაუარა რეგიონის რამდენიმე მიკრორაიონს. დაზიანდა ცალკეული შენობები, ძირფესვიანად ამოთხრილია ხეები, დიდ ფართობებზე დაზიანდა ნათესები და ხვრები, შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, მწყობრიდან გამოვიდა კავშირგაბმულობა, საკომუნიკაციო ნაგებობები, კანალიზაცია, საწშენდი მოწყობილობანი. დიდი ზარალი განიცადა კერძო სექტორმა. მრავალ სახლს ქარბორბალამ მოხადა ან დაუზიანა სახურავები, ჩაამსხვრია მინები, დატბორა პირველი სართულები, გააფუჭა ავეჯი და ჭვა ქონება. ნაწილობრივ დაზიანდა გზები. — შიდა სოფლის შარაგზები და სარაიონო გზები, დაინგრა სოფლის ხიდები.

გუდაუთის რაიონში შეიქმნა სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციო შტაბი. აღდგენითი და სარემონტო სამუშაოები აქ უკვე დაწყო. განსაზღვრულია მომავალ სამუშაოთა მასშტაბი და ღირებულება.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში ყოველდღე მოდიან მუშები და თანამირობენ, თუ რა დახმარება გაუწიონ მოსახლეობას აღდგენით სამუშაოებსა და სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციაში.

გუდაუთელებს დახმარება შესთავაზეს გალისა და გულრიფშის რაიონების, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა რეგიონების მცხოვრებლებმა, დახმარების საკითხებს აგვარებენ თბილისშიც.

თენგიზ ჯიბუტი,
საქინფორმის კორ.

სარედაქციო განცხადება!

საგაზეთო ქაღალდით ფოფარაგების საქმეში შექმნილი სირთულეების გამო, „ახალგაზრდა ივერიელი“ გარკვეულ პერიოდში გამოვა — სამშაბათობით — 4 გვერდის, სოლო შაბათობით 8 გვერდის ფოცულობით.

სხვადასხვა

ამგავი

9+0

ეკავშირის მოსურნე რესპუბლიკათა ლიდერები აგვისტოში ალმა-ათაში შეხვდებიან ერთმანეთს გორბაჩოვის გარეშე. თუ რა ზეგავლენას მოახდენს 9+0 9+1-ზე, ამის შესახებ სპეციალისტებს ჯერ თავიანთი მოსაზრება არ გამოუთქვამთ.

საიდუმლო ციფრი

ეკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში ტომსკის ოლქის კრივოშენსკის რაიონში კომპარტიიდან 91 კაცი გავიდა; შესვლით კი — მხოლოდ ერთი, ადგილობრივი პროკურატურის გამომძიებელი, როგორც ამბობენ — იმიტომ, რომ გამოიძიოს იმ 91-ის გასვლის მიზეზები.

ჩვენში როდისღა დათვლიან ბოლოს და ბოლოს კომპარტიიდან გასულთა რაოდენობას? ალბათ, ეს ციფრი დღეს პარტიის ყველაზე დიდი საიდუმლოებაა.

„მორიდებული“ ბენერლები

სსრკ თავდაცვის სამინისტროს 30 უმაღლესი ხელმძღვანელი პირადი სარგებლობისთვის, ოჯახის წევრთა გადაყვანგადმოყვანისათვის იყენებს თვითმ-

(დასასრული №2-ში გვ.).

ბუში მაოცებს

მეთვლეები, ლაბათ, გიხილებს: რა ანბანი აკვნს დიდს მასთან, ნინა? არ გიმაგნა, ფისფოსანა? ეუბნი და ეტეხის ბარ, ფიმაკ ან თმენელებს შენი ანბანი? რა გვესაუბრება მაღალი პოლიტიკის ლაბირინთებში, რომელთა სიღრმეშიც მონტაჟია დამბული და შენ არიდებენ ძაფიდ ყარ გიგანძნა!

შორიდან, ტირიფებში ქარია ბალი. მაგრამ მე მანიე ეუნდა ეფეთ, რომ მოოცებს ბუში და ლარშენუნეფეთ ეარ, ამ გალეკბას ინბარეზენ ორივე ნანეკარ-ადეროს პროგრესეთი ძალაში. ეკიდი ჯალ ბუში დემოკრატიის სპალეთი მეტეფეთებდა და მოქმედებდა კიდეკ, ვიფაესებდი და ლამის ეკონალეკი გალბიდეთ. შენიკ ბინ სიტყვასა და საფმს მოოთა განნდა ბაარი, რაკ ნამალაკ იყო. არ ვიკთ, ფეოოსეკლობა ეს, შინი, თავაში ეთ პოლიტიკეთი სიბეკეკ, ბაგრან გაგეფშალა და გაკვიკეკ ყველა ბეთეკეკ, ეკ ბინოფეკ.

ბუშმა ამბოკეკ, ოიკეკ ეკონომიში გამარჯვების ზეეოტალმეთ მოეიდა და ეკეკ გაბრიფეკ, ეკეგბალდ დატოკ ქეეფეს სასაკეკი ეკბიოიტეკი ფიპტაკეკო, ეკაბტერიანი ბაღთან ბეკეკ, რომელიც ფიმანშაკეკ კაკოიპინობისა და თავის ხალხს ეინანეკ, რომელსაკ კანეეზომეკ ეკოდავ ეკეკეს, ფეკიანეკ ალეკი ნინანეკ ეკეკეკეკ ფიფიკეკ ფიფიკეკ ბაკეკ ეკ ეკანეკ ეკ ეკანეკ ეკ ეკან

იწყება მესამე ეროვნული

ხუთშაბათს, 15 აგვისტოს, სტარტი მიეცემა მესამე ეროვნულ ჩემპიონატს ფეხბურთში. ჩემპიონატი, როგორც ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, ახალი სისტემით (შემოდგომა-გაზაფხული) ტარდება. თუ რამდენად გაამართლებს ეს პრინციპი, ამას მომავალი გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, ერთწრიან ჩემპიონატს მაინც აჯობებს...

დიახ, სამწუხაროდ, დღეს ამაღლებული განწყობილებითა და მაღალფარდოვანი სიტყვებით ქართულ ფეხბურთზე, უფრო სწორედ, ეროვნულ ჩემპიონატზე ვერ ვისაუბრებთ...

შეიძლება, ეწყინოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკს, მაგრამ, რა ვქნათ, რომ ქართული ფეხბურთის დონე კი არ მაღლდება, არამედ, პირიქით, ეცემა.

იმედია, მესამე ჩემპიონატის შემდეგ განწყობილება შეგვეცვლება, თორემ ასე თუ გაგრძელდა, ქართული ფეხბურთი ისეთ ჩიხში შეაგა, რომლიდან გამოსვლა ერთობ ძნელი აღმოჩნდება. ასევე იმედს გამოვთქვამთ (უკვე მერამდენედ!), რომ სტადიონებზე მოსული გულშემატკივრები ღირსეულად შეაფასებენ სტუმარსა თუ მასპინძელს, ასევე არ მოიმარაგებენ ბრტყელტუჩას და მოედნებზე შემოვლებული რკინის ღობის გასაჭრელ სხვა ტექნიკურ საშუალებებს...

ისე, ვიძახით, მესამე ჩემპიონატი იწყებაო, მაგრამ რა — მეორე ჩემპიონატი „დამთავრდა“? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ (ერთწლიან პირველობაში ხომ ყოველგვარი სპორტული პრინციპია დაკარგული), პრიზიორების დაჯილდოვების ცერემონია გაგვიჭირდა? იგივე „იბერიის“, „გურიის“, „ქუთაისის“ ფეხბურთელებს, ალბათ, ახლაც ხინჯად აქვთ გულში. ან ცალკეული ლაურეატები? თუ ერთწრიან ჩემპიონატს ვატარებთ და გამარჯვებულსა და აუტსაიდერს ვავლენთ, ხომ შეიძლება დავასახელოთ საუკეთესო ბომბარდირი, საუკეთესო მეკარე, საუკეთესო ფეხბურთელი და სხვა?

რაც შეეხება მონაწილე გუნდებს, დარწმუნებული ვართ, რომ ისინი ყველა ღონეს იხმარენ სიამოვნება მიანიჭონ თავიანთ ერთგულ გულშემატკივრებს და, ალბათ, მათ რიგებში კიდევ ბევრი ახალი სახელიც გამოჩნდება. ეს კი აუცილებლად უნდა მოხდეს, რადგან მათ ღირსეულად უნდა შეცვალონ ის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელები, რომლებიც ამჟამად უცხოეთის კლუბებში თამაშობენ (ამ უკანასკნელთა რიცხვს კი, ალბათ, კიდევ ბევრი მიემატება). აქვე დავძენთ, რომ ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი ქართველი ფეხბურთელების უცხოეთის კლუბებში გამოსვლას. ჯერჯერობით ეს ერთადერთი გზაა ქართული ფეხბურთის აღიარებისათვის და იგივე გია გურულის, სოსო ჭედიას, კახი ცხადაძის და თემურ ქეცბაიას კარგი თამაში შესაბამისად პოლონეთის, შვეიცის და კვიპროსის კლუბებში სტიმული უნდა იყოს ახალგაზრდა ფეხბურთელებისათვის.

ასეა თუ ისე, ორ დღეში დაიწყება მესამე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში და უმაღლეს ჯგუფში მოასპარეზე ოცი გუნდი (რა ვქნათ, მაინც ბევრია) იბრძოლებს უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად.

პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან:

„იბერია“ (თბილისი) — „მრეტები“ (თბილისი);

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე);

„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „სამტრედია“ (სამტრედია);

„კოლხეთი — 1913“ (ფოთი) — „ხულორი“ (ვანი);

„ბათუმი“ (ბათუმი) — „შევარდენი — 1906“ (თბილისი);

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „მზიური“ (გალი);

„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი);

„გორდა“ (რუსთავი) — „დილა“ (გორი);

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „სამგურალი“ (წყალტუბო);

„ცხუმი“ (ხაშური) — „კოლხეთი“ (ხობი).

(ეს უკანასკნელი შეხვედრა 17 აგვისტოს გაიმართება).

გია ტუხაშვილი.

სურათზე: თბილისის „იბერიასა“ და საქართველოს კლუბების ნაკრებს შორის გამართული ამხანაგური მატჩის მომენტი.

ოლორძიება

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძიება“ და ამჟამ ასოციაციის ფირმა „არგო“.

ქსსგც

გთავაზობთ

— წიგნებისა და ჟურნალების —
— გაზეთებისა და ბროშურების —
— რეკლამებისა და ბლანკების —
— აფიშებისა და ეტიკეტების —
— სავიზიტო ბარათების —

აწყობა-დაკაბადონებას კომპიუტერული ტექნიკით.

თქვენ შემოგთავაზებენ ქართული, რუსული და ლათინური შრიფტების ფართო არჩევანს.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მაქსიმალურად გაითვალისწინე-ბენ თქვენს სურვილებს და დათქმულ ვადაში შეასრულებენ დაკვეთას.

ჩვენი სახით თქვენ შეიძენთ საიმედო პარტნიორს!

ჩვენი მისამართია: თბილისი, წერეთლის 130, ტელ: 35-26-44

ორგანიზაციების, კოოპერატივების, ინდივიდების საყურადღებოდ!

ვისაც სურს შეიძინოს თანამგზავრული ანტენა, რომლის საშუალებითაც შეგეძლებათ მიიღოთ თურქეთის 5, ირანის 2, ისრაელის 3, იტალიის 6, აშშ 3, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, პროგრამები, შეგიძლიათ მიმართოთ კოოპერატივ „პარაბოლას“ მისამართზე: ქუთაისი, დავითაშვილის 35.

ტელ: 6-53-61

ვაქირავებ

ორგანიზაციებზე, კოოპერატივებზე და კერძო პირებზე საცხოვრებელი სახლის პირველ სართულს 90კვ.მ. ფართობით.

მისამართი: გლდანი, ხერგიანის 3.

ტელ: 67-29-70

იყიდება

სუფთა სისხლის ავღანური მწევრის ლეკვები (დედალ-მამალი) 3 თვის.

ტელ: 34-69-61

მოვუვლი და ვუპატრონებ ავადმყოფს ან მოხუცს, რომელიც ჩამწერს თავის ბინაში.

დარეკეთ ტელეფონზე: 93-36-58

ვყიდი სასწრაფოდ!

ქობულეთში სანაპიროსთან ოთხოთახიან საკუთარ სახლს 380 კვ მ მიწის ფართობით.

მისამართი: სოხუმის 9.

ტელ: 44-54

იკითხეთ ნანა ან ზურა

იყიდება მშენებარე კერძო ბინის მე-8 სართული. ვაკის პარკის მახლობლად ბარნოვის ქ.-ის ბოლოში.

ტელ: 23-50-57,

იკითხეთ ნოდარი.

ხალვაზრდა ქვრიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისალები — 23-27-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 23-21-56;
წერილების განყოფილება — 23-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შეტანილი მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორის მოადგილე გიგლა ფოფეჩია

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „ხამშობლოს“ ტაბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქორპუსში ხოშარაულის 29.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.